

## ნინო ლომიძე

### ბლუმის ტაქსონომია - პრაქტიკული მითითებები

1956 წელს ამერიკელმა ფსიქოლოგმა ბენჯამინ ბლუმმა დაამუშავა კლასიფიკაციის სისტემა განათლების მიზნებისთვის (Bloom, B.S, 1956. Taxonomy of educational objectives: The classification of educational goals: Handbook I, cognitive domain. New York;), რომელიც დღეს ბლუმის ტაქსონომიის სახელითაა ცნობილი და სხვადასხვა დისციპლინის შესწავლის პროცესის წარმართვისთვისაა ადაპტირებული. იმ დროისთვის არსებული სწავლების მეთოდების კვლევისას ბლუმმა შენიშნა, რომ ტესტების საკითხების 95% მოსწავლეებისგან დაბალი დონის ინტელექტუალურ აქტივობას მოითხოვდა - ისინი მიმართული იყო, ძირითადად, ინფორმაციის აღდგენაზე და ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებდა. სწავლა-სწავლების მიზანი კი არ არის და ვერ იქნება მხოლოდ ცოდნის დაგროვება. მოსწავლეს სააზროვნო უნარების განვითარება, მიღებული ინფორმაციის განზოგადება და შემდგომში პრაქტიკული გამოყენებაც უნდა შეეძლოს - მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აუცილებელია სინთეზის და შეფასების გონებრივი ოპერაციების წარმოება.

დარგის სპეციალისტებთან, განათლების ფსიქოლოგებთან და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე სხვადასხვა ექსპერტისგან დაკომპლექტებულ ჯგუფთან ერთად ბლუმმა სააზროვნო უნარების კლასიფიკაციის სქემა - **ტაქსონომია** - შეიმუშავა. ტერმინი ბერძნული სიტყვების ტაქსის და ნომოს შეერთებით მიიღეს. სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი პირველად 1813 წელს შვეიცარიელმა ბოტანიკოსმა ოგიუსტენ დეკანდოლმა გამოიყენა. ტაქსის ნიშნავს წესრიგს, დალაგებას, ნომოს კი - კანონს, მეცნიერებას. ტაქსონომიაში სასწავლო მიზნები დაკავშირებულია სააზროვნო უნარებთან, რომლებიც ექვს დონედ, ექვს საფეხურადაა დაყოფილი. ესენია:

**ცოდნა** (ფაქტობრივი ინფორმაცია); **გაგება** (აზრის გაგება); **გამოყენება** (მიღებული ინფორმაციის პრაქტიკაში გამოყენების უნარი); **ანალიზი** (ინფორმაციის კომპონენტებად დაყოფა მოვლენის არსის გაგების გასაადვილებლად); **სინთეზი** (მოვლენის მთლიანობაში განხილვა); **შეფასება** (ღირებულებითი მსჯელობები, შედარებითი შეფასებები);

ამათგან - **ცოდნა, გაგება, გამოყენება** აზროვნების ქვედა დონედ მიიჩნევა, **ანალიზი სინთეზი და შეფასება** კი - ზედა დონედ.

დღევანდელ ბლოგში შემოგთავაზებთ ცხრილს, რომელიც თვალნათლივ, მოკლედ და კონკრეტულად წარმოაჩენს ბლუმის ტაქსონომიის სხვადასხვა დონის უმთავრეს მიზანს; თითოეული დონის გასააქტიურებელ კითხვებს, მითითებებს და სავარჯიშოების ფორმულირებისთვის საჭირო ფრაზებს. ცხრილში ასევე წარმოდგენილი იქნება ისიც, თუ რა როლი ეკისრება მასწავლებელს და რა უნარებს ივითარებს მოსწავლე მოცემულ საფეხურზე.

სასწავლო მიზნების დონე	განმარტება	მოსწავლე	მასწავლებელი	სანიმუშო ფრაზები
ცოდნა	ინფორმაციის ამოცნობის ან გახსენების დონე. მოიცავს ფაქტების, ცნებების, განმარტებების, წესის, შინაარსის გახსენებას, ინფორმაციის კონკრეტული ელემენტების გამოყენებას მიზნობრივად.	იხსენებს, იმეორებს, ამოიცნობა, აღწერს, ასახელებს, ადგენს ცხრილს არსებული ცოდნის გამოყენებით, აკეთებს ჩანაწერებს.	ხელმძღვანელობს, მართავს პროცესს, ყვება, აწვდის ინფორმაციას, ამოწმებს, იყენებს თვალსაჩინოებებს, იშველიებს ილუსტრაციებს;	ჩამოთვალეთ, აღწერეთ, განსაზღვრეთ, გაიხსენეთ, შეარჩიეთ, დააკავშირეთ მიღებული ინფორმაცია ნასწავლ მასალასთან; კითხვითი წინადადებები იწყება სიტყვებით: ვინ? სად? როდის? რა?
გაგება	მიღებული ინფორმაციის გადამუშავება/ გაგება, მოიცავს მსჯელობას, ცნებების ან კონცეფციის აზრის ახსნას გასაგებად, ინტერპრეტაციას, სამოქმედო გზის ან პრობლემის გადაწყვეტის გზის დასახვას.	საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ფაქტს, აკეთებს ინტერპრეტაციას, განმარტავს, განიხილავს, იშველიებს შესაბამის მაგალითებს, აკეთებს დასკვნას, პერიფრაზს...	ისმენს, სვამს დამაზუსტებელ კითხვებს, ითხოვს დამატებით განმარტებებს კითხვების საშუალებით, აჯამებს, განსჯის...	განაზოგადეთ მიღებული ინფორმაცია, ახსენით/განავრცეთ/გააკეთეთ შესაბამისი დასკვნები, გადმოეცით მთავარი აზრი/სათქმელი. კითხვითი წინადადებები იწყება სიტყვებით: რატომ? როგორ? რანაირად? რის შედეგად?
გამოყენება	თეორიის პრაქტიკაში და რეალურ სიტუაციაში გამოყენების დონე.	შეიმუშავებს ყველაზე ეფექტიან სტრატეგიებს მიღებული ცოდნის კონკრეტულ ვითარებაში გამოსაყენებლად, ახორციელებს დასახულ მიზნებს, მიღებული ცნობების გამოყენებით იწყებს ახალი ვარაუდების გამოთქმას, ადასტურებს ან უარყოფს სხვადასხვა თეზისს...	მასწავლებელი ფასილიტატორის (პროცესის ხელმშეწყობის) როლში გვევლინება.	გამოიყენე, გადაწყვიტე, განახორციელე, მოამზადე, შეცვალე, ააგე, გვიჩვენე, წარმოაჩინე. კითხვითი წინადადებებს ანაცვლებს მითითებები, რეკომენდაციები, მოსაზრებები, რჩევები.

ანალიზი	ფაქტის, მასალის, მიღებული ცოდნის, ინფორმაციის გაანალიზება, შემადგენელ კომპონენტებად დაშლა.	ანალიზებს, აღწერს მთელის ცალკეულ ელემენტებს, ატრიბუტებს, ნაწილებს, ადარებს ერთმანეთთან, გამოყოფს მსგავსებებსა და განსხვავებებს.	ასტიმულირებს, იწვევს, აკვირდება, აფასებს, აწოდებს დამატებით ინფორმაციას საჭიროების/ინტერესის შემთხვევაში...	გაანალიზე, შეადარე, გაზომე, შემოწმე, ჩაატარე ექსპერიმენტი, გამოსახე გრაფიკულად, ააგე დიაგრამა, შეაფასე, შეადარე, განასხვავე, გაავლე პარალელი, გამოყავი მსგავსებები და განსხვავებები...
სინთეზი	სამომავლო /სამუშაო გეგმისა და პროცედურების, ახალი მიდგომების შემუშავება, იდეების, მეთოდების ინტეგრირება, გენერირება, ორგანიზება.	ახლებურად, განსხვავებულად, სრულად ანალიზებს, გაითავისებს მიღებულ ცოდნას.	აკეთებს რეფლექსიას (უკუკავშირი), განავრცობს, აფასებს, განიხილავს სხვადასხვა ვარიანტს, ვარაუდს, ვერსიას...	შეიმუშავე გეგმა, დასახე მიზნები, შექმენი ცხრილი/დიაგრამა, ააგე, გადაამოწმე, გარდაქმენი, ააწყვე, შეცვალე, შეიმუშავე ჰიპოთეზა და თავად შეამოწმე. მიიღე გადაწყვეტილება.
შეფასება	კრიტიკული ანალიზი, სტრატეგიული ვარიანტებისა და გეგმების შეფასება, რისკების გათვლა, სავარაუდო შედეგების მიმოხილვა/განხილვა...	აფასებს მოვლენას, ფაქტს, ტექსტს ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა: სანდოობა, ხარისხი, ღირებულება, პრაქტიკული მნიშვნელობა/დანაშნულება, წარმოადგენს პოზიციას, მის მხარდამჭერ მტკიცებულებას, არგუმენტებს, მსჯელობს, მსჯელობას ამყარებს შესაბამისი მტკიცებულებებით.	აფასებს, კრიტიკულად უდგება, განიხილავს დადებით და უარყოფით მხარეებს, გამოყოფს კარგად/ცუდად შესრულებულ ელემენტებს...	შეაფასე, დაასაბუთე, გამოიკვლიე, მოიყვანე არგუმენტები, მაგალითები, განიხილე კონტრარგუმენტები, შეაჯამე, გააკეთე შესაბამისი დასკვნა, დაახარისხე, განსაჯე...

**რამდენად შესაძლებელია ერთი საგაკვეთილო საათის განმავლობაში ექსივე დონის შესაბამისი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება?**

ცხრილში მოცემული განმარტებები და მითითებები ცხადყოფს, რომ სააზროვნო დონეებს შორის მკვეთრი საზღვარი, მიჯნა არ არის. როდესაც მასწავლებელი რომელიმე ერთი დონის აქტივობას გეგმავს და ახორციელებს, სავსებით შესაძლებელია, ის პარალელურად სხვა საფეხურს (დონეს) გადასწვდეს და, შესაბამისად, ერთმა და იმავე აქტივობამ შესაძლოა რამდენიმე დონე ერთდროულად მოიცვას.

შესაძლებელია, ერთი თემის იმგვარად დამუშავება (წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით) რომ დროში გაწერილი კონკრეტული აქტივობების მიხედვით თემაზე მუშაობის განმავლობაში, ყველა საფეხური მოვიცვათ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის სწავლების პროცესში, დიდი პროგრამული მასალის ათვისების პირობებში, მასწავლებელი საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე დგას - ერთი მხრივ, იგი ვალდებულია საკმაოდ დიდი დრო და ენერჯია (როგორც საკუთარი, ისე მოსწავლეების) „დახარჯოს“ ტექსტების შინაარსის გაგება-დამახსოვრებაზე, მეორე მხრივ, საგნობრივი სტანდარტი საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებასაც ითვალისწინებს. სირთულეს ის ქმნის, რომ საკუთრივ საგაკვეთილო 45 წუთი და საგნისთვის სემესტრის/წლის განმავლობაში გამოყოფილი საათები, როგორც წესი, არ არის ხოლმე საკმარისი ორივე მიმართულებით (იგულისხმება დაბალი და მაღალი სააზროვნო დონეები) სრულყოფილად მუშაობის წარმართვისთვის. ამიტომ მასწავლებლის ოსტატობას და მოსწავლეების გამძლეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ვფიქრობ, ეს პრობლემა სფეროში მოღვაწე ადამიანების მსჯელობისა და დისკუსიის საგანი უნდა გახდეს, ამიტომ, გთხოვთ, კომენტარებში საკუთარი გამოცდილებაც გაგვიზიაროთ.